ეროვნული ბიბლიოთეკა





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 22 (4016) | 1 | 1970 წ. თებერვალი, კვირა, ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# 1971 — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წელი

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა მიიღო დადგენილება სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის ჩატარების თაობაზე. გადაწყდა, რომ საზაფხულო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები 23 სახეობაში გაიმართოს 1971 წლის ივლის-აგვისტოს მოსკოვში და ერთ სახეობაში (აფროსნობა) — რიგაში. გადაწყდა ისიც, რომ ამავე წელს მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებები (შედეგები შევა ხალხთა სპარტაკიადის ჩათვლაში) ჩატარდეს ვორონეჟში (მძლეოსნობა), ზაპოროჟიესა (ცურვა) და უფაში (სპორტული ტანვარჯიში). როგორც წესი, საკავშირო ფინალურ შეჯიბრებებს წინ უსწრებს ფიზკულტურული კოლექტივების, რაიონების, ქალაქების, ოლქების, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების სპარტაკიადები.

მოზრდილთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შედის 24 სახეობა: 1. კალათბურთი, 2. კრივი, 3. თავისუფალი ჭიდაობა, 4. კლასიკური ჭიდაობა, 5. სამბო, 6. ველოსპორტი (ტრეკი), 7. ველოსპორტი (გზატკეცილი), 8. წყალბურთი, 9. ფრენბურთი (ქალები და ვაჟები), 10. სპორტული ტანვარჯიში, 11. აკადემიური ნიჩბოსნობა (ვაჟები), 12. ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა, 13. ცხენოსნობა, 14. მძლეოსნობა, 15. აფროსნობა, 16. ცურვა, 17. წყალში ხტომა, 18. ხელბურთი (ქალები და ვაჟები), 19. თანამედროვე ხუთჭიდი, 20. მშვილდოსნობა, 21. ტყვიის სროლა, 22. სასტენდო სროლა, 23. ძალოსნობა, 24. ფარიკაობა.

კომიტეტმა მიიღო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების დებულება. მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივის გამოსვლა ფასდება იმ ქულათა საერთო ჯამის მიხედვით, რომლებსაც ნაკრები კოლექტივის წევრები დააგროვებენ სპარტაკიადის პროგრამის ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში. მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის მოზარდი სპორტსმენების მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი საერთო გუნდურ ჩათვლაში შევა 0,5 კოეფიციენტის სახით.

საერთო გუნდურ ჩათვლაში შევა ის ქულები, რომლებსაც სპორტსმენები დააგროვებენ პროგრამის ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში პირველიდან VIII ადგილის (ჩათვლით) დაკავებისთვის. გთავაზობთ სპორტსმენებზე და გუნდებზე ქულების დარიცხვის ცხრილს:

სპორტულ თამაშებში და პროგრამის გუნდურ სახეობებში I ადგილის მოპოვებისთვის ნაკრებ კოლექტივს დაეწერება 24 ქულა, II ადგილისთვის — 18, III ადგილისთვის — 14, IV ადგილისთვის — 10, V ადგილისთვის — 8, VI ადგილისთვის — 6, VII ადგილისთვის — 4, VIII ადგილისთვის — 2.

პროგრამის ინდივიდუალურ სახეობებში ნაკრებ კოლექტივს I ადგილისთვის დაერიცხება 12 ქულა, II ადგილისთვის — 9, III ადგილისთვის — 7, IV ადგილასთვის — 5, V ადგილისთვის — 4, VI ადგილისთვის — 3, VII ადგილისთვის — 2, VIII ადგილისთვის — 1.

შენიშვნა: ქულათა დარიცხვა „სპორტულ თამაშებში და პროგრამის გუნდური სახეობების" სკალის მიხედვით მოხდება კალათბურთში, ველოსპორტში (გუნდური რბოლა 100 კილომეტრზე, გამოდევნებით 4 კილომეტრზე გუნდური რბოლა), წყალბურთში, ფრენბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში (გუნდი), აკადემიურ ნიჩბოსნობაში (გასაშლელი ოთხადგილიანები მესაჭით და უმესაჭოდ, რვაადგილიანი), ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში (ოთხადგილიანი ბაიდარით 1000 მეტრზე შეჯიბრება), ცხენოსნობაში (გუნდი), მძლეოსნობაში (ესტაფეტები 4×100 და 4×400 მ). აფროსნობაში („ურჩხულის" კლასი), ხელბურთში, თანამედროვე ხუთჭიდში (გუნდი), მშვილდოსნობასა (გუნდი) და ფარიკაობაში (გუნდი).

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში მაღალი შედეგების მოპოვებისთვის ნაკრებ კოლექტივებს დამატებით დაერიცხებათ: სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგისთვის — 5 ქულა, საკავშირო რეკორდის დამყარებისთვის — 7, ევროპული რეკორდის დამყარებისთვის — 9, მსოფლიო რეკორდის დამყარებისთვის — 12 ქულა. იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენებმა ან გუნდებმა ერთდროულად დაამყარეს მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდები, ქულათა დარიცხვა მოხდება ერთხელ — უმაღლესი შეფასებით.

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებს შორის სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში I-V ადგილებზე გასულნი დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზებით და ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის დიპლომებით.

მოკავშირე რესპუბლიკების ქალთა კოლექტივები, რომლებიც მოპოვებული შედეგების მიხედვით საერთო გუნდურ ჩათვლაში I-V ადგილებს დაიკავებენ, დაჯილდოვდებიან კომიტეტის გარდამავალი პრიზებითა და დიპლომებით.

სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებულია, აგრეთვე, პრიზიორთა შესაბამისი პრიზებითა და და დიპლომებით დაჯილდოება ცალკეულ სახეობებში (როგორც გუნდურში, ისე პირადში). არ იქნებიან დავიწყებული სპარტაკიადის პრიზიორთა მწვრთნელები. ისინიც შესაბამის ჯილდოებს მიიღებენ. სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების ყველა მონაწილეს, მწვრთნელს, მსაჯს, ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებსა და მომსახურე პერსონალს გადაეცემათ სამახსოვრო მედლები.



სურათებზე: ზევით (მარცხნივ)—თედიაშვილისა (მარჯვნივ) და იორგას ჭიდილი; (მარჯვნივ) — ცოტაც, და ირანელი ჯავადი წმინდად მოუგებს ბულგარელ დინევს; შუაში — მონღოლი მოჭიდავეები და მწვრთნელები გულმოდგინედ ადევნებენ ფირზე ჭიდაობის მომენტებს; ქვევით — მსაჯთა მაგიდასთან (მარცხნიდან): ი. ჯოხაძე, დ. ციმაკურიძე, გ. სხირტლაძე და თ. ილურიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# IX ტრადიციული...

თბილისის არც ერთ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს არ ახსოვს ირანელთა ასეთი მრავალრიცხოვანი გუნდი. ისინი ყოველ წონით კატეგორიაში ცდიან ძალას (უმჩატესში მათ ორი ათლეტიც კი გამოიყვანეს). ეს მისასალმებელია, მით უმეტეს, რომ ირანელები ტრადიციულად მოიკოჭლებენ მძიმე წონით კატეგორიებში. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ირანელები შესანიშნავი ათლეტები არიან და მათი ჭიდაობა მუდამ აგრესიულობით, ტემპერამენტით გამოირჩევა, გასაგები გახდება ის დიდი ინტერესი, რომლითაც მაყურებელი და სპეციალისტები მათს გამოჩენას ხვდებიან.

ასე მოხდა გუშინწინ საღამოსაც, როცა ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ა. ალიევი და თბილისის შარშანდელი ტურნირის მეორე პრიზიორი ქვემსუბუქ წონაში, ირანელი აბდულბაკერი. მართალია, ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულად ალიევი გამოაცხადეს, მაგრამ შეჯიბრების შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ იმსჯელა და სრულიად სამართლიანად ორთაბრძოლა საყაიმოდ მიიჩნია. ამით დავამთავრებდით ამ შეხვედრაზე ლაპარაკს, რომ ირანელი მოჭიდავის სიჯიუტეს მოთმინებიდან არ გამოეყვანა როგორც მონაწილენი, ისე მაყურებლები. აბდულბაკერი ჯიუტად არ ტოვებდა ხარბიელს და შეჯიბრების გაგრძელების საშუალებას არ იძლეოდა.

ცუდი მაგალითი მართლაც რომ გადამდებია, ეს იმავე ხალიჩაზე გამართულმა მეორე შეხვედრამაც დაადასტურა. შომახოვისა და ბულგარელი შავოვის ორთაბრძოლაში უკმაყოფილო ბულგარელმა ბრძოლა არ გააგრძელა და შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ვ. კუხიანიძემ სრულიად სამართლიანად შავოვს წაგება ჩაუთვალა.

ჭეშმარიტად გმირული შემართებით იბრძოდა შტოლმაისტერი (გდრ) თბილისის შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულ გადაიჩუკის (82 კგ) წინააღმდეგ. შეხვედრის დასაწყისში გერმანელმა ფეხი იტკინა, მაგრამ მაინც აქტიურად იბრძოდა და დამსახურებულად გაიმარჯვა კიდეც ქულებით. ამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იჭიდავეს თედიაშვილმა და ბ. ილურიძემ: პირველმა ქულებით სძლია რუმინელ იორგას, ხოლო მეორემ — ბულგარელ კოსტოვს.

მეორე საშუალო წონაში (90 კგ) ქულებით გაიმარჯვეს პაპაშვილმა (მოროზოვთან) და ცნობილაძემ (მელიქიანთან). გობეჯიშვილ — დუგლაძის, მუხბატ (მონღოლეთი) — არუთინოვისა და დელჩევ (ბულგარეთი) — ალისახრაის (ირანი) შეხვედრები ფრედ დამთავრდა.

გუშინწინ საღამოს დაიწყო მეორე წრის შეხვედრები.

48 კგ. ქულებით გაიმარჯვეს რ. დმიტრიევმა — კერამატთან (ირანი), კიშიევმა — ოჰანესიანთან, განბადმა (მონღოლეთი) — გავრილიევთან, დინევმა (ბულგარეთი) — რომანოვთან, ჯავადიმ (ირანი) — შლიოპკინთან.

52 კგ. ირანელმა გორბანიმ 2 წუთსა და 48 წამში ხალიჩას გააკრა ტაგიევი. ასევე წმინდად წააგო შეყრილაძემ ბულგარელ ხრისტოვთან (8.40,0). გ. დმიტრიევმა ქულებით სძლია ალბარიანს, ა. ნასრულაევმა — გიორგაძეს. მიქელაძე — სოდნომცერენისა (მონღოლეთი) და რუსნაკ—ჩერნაუს (რუმინეთი) შეხვედრები ფრედ დამთავრდა.

57 კგ. ალიბეგაშვილმა წმინდად მოუგო დობორჯგინიძეს (7.50,0), ჩერტკოვმა—კულეშოვს (2.55,0). ზ. ილურიძემ ქულებით წააგო თბილისის შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულ მალიანთან

62 კგ. ამ შეჯიბრების რეკორდი დაამყარა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა აბდულბეკოვმა, რომელმაც 1 წუთსა და 4 წამში ბეჭებზე დასცა ჩეხოსლოვაკიელი სერშენი. დგებუაძემ ქულებით სძლია მუშეღიანს, დეხტაშდიმ (ირანი) — მალიგინს, ჰუსეინოვმა — გაგუას. არნაუტოვ—პლიევის ჭიდილი ფრედ დამთავრდა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში მეორე წრის შეხვედრები გუშინ გაიმართა.

ტურნირი დღეს მთავრდება.

ა. მხეიძე.

20 45

◆ ტიტოგრადი, 31 იანვარი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ფრედ (1:1) დაამთავრა ამხანაგური მატჩი ჩერნოგორიის ნაკრებთან. ანგარიში უკვე მე-3 წუთზე გაიხსნა: ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა სერებრიანიკოვმა. საბჭოთა გუნდი შემდგომშიც ბევრს უტევდა, მაგრამ ამაოდ. პირიქით, მან საპასუხო გოლიც კი მიიღო: 75-ე წუთზე ჩერნოგორიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტიბლასმა თავისი კოლექტივის ერთ-ერთი იერიში წარმატებით დაამთავრა. თამაში, რომელსაც 15 ათასამდე მაყურებელი დაესწრო, სტუმართა თვალსაჩინო უპირატესობით მიმდინარეობდა. მასპინძლები იშვიათი, მაგრამ სახიფათო კონტრშეტევებით უპასუხებდნენ. ორჯერ ძალიან ძლიერი დარტყმა მოიგერია საბჭოთა ნაკრების მეკარემ კავაზაშვილმა. ეს იყო სტუმრების მესამე, ბოლო მატჩი იუგოსლავიაში. წაგება, მოგება, ფრე — ასეთია სსრ კავშირის ნაკრების იუგოსლავიური ტურნეს შედეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

# წამის ფასი

ბაკურიანი, 31 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ზუსტად ორი კვირის წინ ბაკურიანი „მფრინავ მოთხილამურეთა“ საკავშირო თასის გათამაშების მასპინძელი იყო. ახლა კი იგი ასეთივე ტურნირში, მორბენალთა მზადყოფნას ამოწმებს და, როგორც შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ა. შალიაპინმა გაგვანდო, საუკეთესოებს მსოფლიო პირველობის საგზურებისთვის რეკომენდაციებს მისცემს. ეს კი სპორტსმენებისთვის ამ ასპარეზობაში ყველაზე დიდი ჯილდოა.

რბენაში სსრ კავშირის თასის გათამაშებას უამრავი ფავორიტი ჰყავს, ვინაიდან აქ საბრძოლველად თავი მოიყარა ქვეყნის ყველა საუკეთესო მოთხილამურემ — ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების 102 ვაჟმა და 71 ქალმა, რომელთაგან ერთი სპორტის დამსახურებული ოსტატი, 18 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 143 სპორტის ოსტატი, 6 ოსტატობის კანდიდატი და 5 პირველთანრიგოსანია. ეს ისეთი პირველთანრიგოსნები და კანდიდატები არიან, რომლებიც ოსტატებს არ უდებენ ტოლს. მაგრამ სტარტამდე ჩვენ სულ სხვა რამ, კერძოდ, სათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციის მიერ ქვეყნის ნაკრებისთვის უკვე შერჩეულ კანდიდატთა ანუ ფავორიტთა ფავორიტების ვინაობა გვაინტერესებდა.

— ეს საიდუმლოა, — გვითხრა მორბენალთა მთავარმა მწვრთნელმა, წარსულში შესანიშნავმა მოთხილამურემ ბ. კამენსკიმ. — ამ საიდუმლოს გამჟღავნებას ტურნირის დამთავრებამდე ვერიდებით, ვინაიდან ზოგჯერ უარყოფითად მოქმედებს კანდიდატებზე. გარდა ამისა, ბაკურიანის ასპარეზობამ ჩვენს მიერ უკვე შედგენილ გეგმებში ხომ შეიძლება ცვლილება შეიტანოს?

— ამ საქმისა თქვენ უკეთ იცით, რაკი საიდუმლოა საიდუმლოდ დარჩეს, მაგრამ...

— არა, თქვენ, როგორც ძველ ნაცნობს, გაგანდობთ. მჯერა რომ საიდუმლოს ტურნირის ბოლომდე მაინც შეინახავთ, — მითხრა მან და ჩამოთვალა.

ადამიანს, რომელიც ყველაზე მეტადაა პასუხისმგებელი მსოფლიო პირველობაში სსრ კავშირის მორბენალი მოთხილამურეების შედეგებზე, დავპირდი, რომ არ გავამხელდი ქალთა ნაკრების კანდიდატებს: ლ. ვორონინას, ა. ოლიუნინას, ნ. შებალინას, გ. კულაკოვას, ა. კოლჩინას, ი. ვლადიმიროვას, ნ. ფიოდოროვას, გ. პილიუშენკოს და ი. მიაგარის, ვაჟთა გუნდის წევრების ვ. ვორონკოვის, ი. უტრობინის, ფ. სიმაშოვის, ვ. ვედენინის, ა. აკენტიევის, ვ. დოლგანოვის, ვ. ტარაკანოვისა და ბ. გიზატულინის ვინაობას.

მართლაც, ბაკურიანში ამაზე სიტყვაც არ დამცდენია — კამენსკისთვის მიცემული პირობა ნაწილობრივ მაინც შევასრულე. იქნებ, სულ საიდუმლოდაც შემენახა, მაგრამ სწორედ ნაკრების კანდიდატებმა მაიძულეს სიტყვა გამეტეხა: სწორედ ისინი იყვნენ გუშინ გამართული მიმზიდველი წარმოდგენის მთავარი მოქმედი პირები (ქალები 5, ხოლო ვაჟები 15 კმ-ზე ასპარეზობდნენ).

ბაზა-პანსიონატ „სპორტთან“ ახლოს, 90-მეტრიან ტრამპლინთან მოეწყო სტარტი და ფინიში, სარდლების ბანაკი (მსაჯები აქედან ხელმძღვანელობდნენ ბრძოლას). ყველა ცნობა ტრასაზე რბოლის მიმდინარეობის შესახებ აქ იყრიდა თავს. ერთი სიტყვით, ყველაფერი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, რათა მაყურებლებს საინტერესო შეჯიბრება ენახათ, მაგრამ... ამინდი გაჭირვეულდა — ნ-გრადუსიან ყინვას ქარბუქი და თოვა დაემატა.

დისტანციები მეტად რთული იყო: ქალებს 6 აღმართი (საერთო სიგრძე — 2200 მ) უნდა გაევლოთ. მართალია, დაღმართიც ამდენივე გახლდათ, მაგრამ მათი სიგრძე 1700 მეტრს არ აღემატებოდა. დისტანციის სიმაღლეთა სხვაობა 152 მეტრს უდრიდა, თანაც, მონაწილეებს 3 კილომეტრი ტყეში უნდა გაევლოთ.

— არავითარი შეღავათი! ჩეხოსლოვაკიის ტატრებში იოლ ტრასასთან არ გვექნება საქმე, — მითხრა სტარტის წინ მთავარი მსაჯის მოადგილემ, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა კ. ასტახიშვილმა, როცა ვკითხე, ასეთი რთული ტრასა რატომ მოაწყვეს-მეთქი?

— ვაჟთა დისტანცია უარესია, — განაგრძო მან. — 7,5-კილომეტრიან წრეს სპორტსმენებმა ორჯერ უნდა შემოუარონ, 12 აღმართი დაძლიონ, 10 კილომეტრი ტყეში ირბინონ. სიმაღლეთა სხვაობა 691 მეტრია. დისტანცია იმდენად რთული და დახლართულია, რომ მარტო ბილიკების აღნიშვნისთვის 1050 ალამი დაიხარჯა.

ტრასების სირთულეში დამსახურება დისტანციების უფროსებს, რამდენიმე წლის წინ რესპუბლიკაში ცნობილ მორბენლებს ნ. კოზანაშვილსა და გ. სანაკოევს მიუძღვით.

სტარტზე ქალები გამოიძახეს. მსაჯებმა თხილამურებს სპეციალური აღნიშვნა გაუკეთეს, დისტანციაზე არავინ გამოეცვალოსო.

რბოლა დინამოელმა სპორტის ოსტატმა ზ. დუნაევამ გახსნა. სეზონში უკვე ჩატარებული შეჯიბრებების მიხედვით უძლიერესნი, მათ შორის, ნაკრების კანდიდატებიც, კენჭისყრით სტარტიდან ბოლოს გადიოდნენ და მთავარი ბრძოლაც მათ შორის იყო მოსალოდნელი. ვარაუდი გაამართლა: ნაკრების 8 ზემოდასახელებული კანდიდატიდან მხოლოდ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ოლიუნინა („ტრუდი“, 19.44,0) ვერ შევიდა საუკეთესოთა ათეულში. იგი X ადგილზე გასულ სპორტის ოსტატ მიაგარის („კალევი“) ორი წამით ჩამორჩა.

ბრძოლა უშეღავათო გახლდათ. ამიტომ შედეგებიც საკმაოდ მჭიდრო იყო, ზოგჯერ თანაბარიც. მაგალითად, სპორტის ოსტატმა ვლადიმიროვამ („ავანგარდი“) და ვორონინამ (შეიარაღებული ძალები) IV-V ადგილები ერთნაირი შედეგით (19.19,0) გაინაწილეს.

სპორტის ოსტატმა კულაკოვამ („ტრუდი“) თავი შარშან გამოიჩინა და ერთბაშად გახდა გუნდის ლიდერი, წლეულს კი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებაში ავადმყოფობამ შეაფერხა — ოპერაცია გაიკეთა და ამ სეზონში აქ პირველად გამოვიდა სტარტზე. ბაკურიანში იგი პირველი იყო — გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა: კულაკოვა ერთადერთი სპორტსმენი აღმოჩნდა, რომელმაც 19-წუთიანი ზღვარი გადალახა — 18.57,0.

II ადგილზე გავიდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შებალინა („სპარტაკი“) — 19.15,0. სპორტის ოსტატ ფიოდოროვასთვის („ტრუდი“) მეტად ძვირფასი იყო 1 წამი, რომლითაც იგი შებალინას ჩამორჩა და III ადგილზე გავიდა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ვეტერანი კოლჩინა („დინამო“) VIII ადგილს დასჯერდა.

ვინ გაბედა ფავორიტებში ფავორიტთა შევიწროება? ლოკომოტიველმა სპორტის ოსტატმა დ. გრიგორიევამ (19.28,0) და ვეტერანმა რ. აჩკინამ (შეიარაღებული ძალები) — 19.37,0. მათ შესაბამისად VII და IX ადგილები მოიპოვეს.

ვიდრე ქალები ბრძოლას განაგრძობდნენ, ვაჟები სტარტს ნახევარი წუთის ინტერვალით იღებდნენ. პირველ წრეზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა ევროპის ჩემპიონს იუნიორთა შორის, არმიელ სპორტის ოსტატს, 20 წლის ი. სკობოვს, რომელსაც საპრიზო ადგილის პრეტენდენტად არავინ თვლიდა, ამიტომაც კენჭისყრით სუსტების ჯგუფში შეიყვანეს.

საერთოდ, ვაჟთა შეჯიბრებაში ქვეყნის ნაკრების 8 კანდიდატიდან ექვსეულში მხოლოდ 3 შევიდა, ხოლო ათეულში — 5.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 28 წლის ვედენინი („დინამო“) ნამდვილი სპორტული ჟინით იბრძოდა — ბოლომდე ერთ ტემპში ირბინა, შესაშური მონდომებით უტევდა აღმართებს და შრომაც დაუფასდა: საუკეთესო შედეგი — 54.40,0 აჩვენა. როცა რბოლა დაამთავრა, გამარჯვება მივულოცე და ცხელ გულზე ინტერვიუ ვთხოვე.

— ცოტა მაცალეთ, სველი ვარ, რამეს მოვისხამ, — მითხრა და თანაგუნდელს სათხილამურო კოსტუმი გამოართვა.

— გისმენთ.

გავეცანი. საქართველოს სპორტული გაზეთის „ლელოს“ მკითხველებისთვის ორიოდე სიტყვით თქვენი სურვილები მითხარით-მეთქი.

— პირველ ყოვლისა ვისურვებდი, რომ საქართველოში მორბენლების აღზრდაზე ეზრუნათ, თორემ, აბა რას ჰგავს: თქვენს შესანიშნავ აგარაკზე ასეთი კარგი ტურნირი ტარდება და 200-მდე მონაწილეს შორის თქვენი რესპუბლიკის არც ერთი წარმომადგენელი არ არის.

— თქვენთვის რას ისურვებდით?

— მსოფლიო პირველობაშიც წარმატებით მონაწილეობას, ვინაიდან შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში შეიძლება ვეღარც გამოვიდე. სარბიელიდან ცუდად წასვლა კი არ მინდა. მე მგონია, ახლა შესანიშნავ ფორმაში ვარ. ვნახოთ...

წარმატება ვუსურვე და ვკითხე, მეტოქეების შედეგები ხომ იცოდით, ასე სწრაფად რატომ დარბოდით-მეთქი?

— ტატრებში უფრო ძლიერ მეტოქეებთან მექნება საქმე.

შეჯიბრება დამთავრდა. ვედენინისა და სკობოვის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: III. სპორტის ოსტატი ვ. პოპოვი (შეიარაღებული ძალები) — 55.18,0, IV. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვორონჩიხინი („ბურევესტნიკი“) — 55.22,0, V. სპორტის ოსტატი ნ. ტერებოვი („სპარტაკი“) — 55.30,0, VI. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტარაკანოვი (შეიარაღებული ძალები) — 55.34,0.

2 თებერვალს შეჯიბრება მთავრდება.

ო. გელაშვილი.

## არ გამოგრჩეთ!

როგორც ვიუწყებოდით, გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ მკითხველს მიაწოდა „ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1969-1972 წლებისთვის“.

სამთოსათხილამურო სპორტის სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნების განყოფილებაში (გვ. 128-131) დაშვებულია შეცდომა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტის ზამთრის სახეობათა სამმართველო განმარტავს, რომ მოზარდთა I თანრიგისთვის სლალომისა და გიგანტური სლალომის ტრასებზე (სიგრძე, სიმაღლეთა სხვაობა) სწორად უნდა ჩაითვალოს იგივე მოთხოვნები, რაც მიღებულია მოზრდილთა I, II და III თანრიგებისთვის გათვალისწინებულ ტრასებზე.

• •

## პავლიუსიაკის ძნელი გამოცდები

პოლონელები გუნდებს ზაკოპანეში ამზადებენ. აქვე გამართეს მათ საერთაშორისო შეხვედრები, რომლებშიც იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების მოთხილამურეებიც გამოდიოდნენ. ტრამპლინიდან ხტომაში პირველი ტური მასპინძლების აშკარა უპირატესობით აღინიშნა. მართალია, ფ. დილარი (იუგოსლავია) ყველაზე შორს (99 მ) გადახტა, მაგრამ მეორე ნახტომი წაუხდა. 98 და 97 მეტრზე გადახტომით გაიმარჯვა ტ. პავლიუსიაკმა. მეორე იყო ი. პშიბილა — 90 და 95 მ, მესამე — კუბიცა (ყველა — პოლონეთი) — 93 და 95 მ.

ორი დღის შემდეგ მეტოქენი ისევ ჩაებნენ ბრძოლაში და თავი ისევ პავლიუსიაკმა გამოიჩინა — ამჯერად იგი 99,5 და 96 მეტრზე გადახტა, 222 ქულა მოაგროვა და 3,1 ქულით აჯობა თანაგუნდელ ს. დანიელს — 99,5 და 94,5 მ. III ადგილზეა პშიბილა — 218 ქულა (98 და 97,5 მ). სტუმრებიდან საუკეთესო იყო ი. კლაუსი (ჩეხოსლოვაკია) — 210,3 (97 და 93 მ).

ბიატლონში ყველაზე ზუსტი მსროლელი აღმოჩნდა ჰ.-გ. იანი (გდრ), რომელმაც მხოლოდ 2 წუთი მიიღო ჯარიმად, მაგრამ რბენაში ჩამორჩა მასპინძელ ი. რუძაკს და II ადგილს დასჯერდა — 1:35.10. რუძაკის შედეგია 1:33.52 (3). III ადგილზეა ა. ფეოდორი (პოლონეთი) — 1:35.43 (5).

• •

## ფავორიტებზე წინ

კიტცბიული მასპინძლობდა სამთომოთხილამურეთა დიდ ტურნირს, რომელშიც მსოფლიო თასისთვის მებრძოლებიც გამოდიოდნენ. პროგრამაში იყო გიგანტური სლალომი (1700 მ, სიმაღლეთა სხვაობა 400 მ, 41 კარი). საფრანგეთის სპორტსმენები, რომლებიც მსოფლიო თასზე ასპარეზობის გუნდურ ჩათვლაში ლიდერები არიან, ამჯერად ცუდად გამოვიდნენ. მათგან საუკეთესომ ჰ. რუსელმა მხოლოდ მერვე შედეგი (1.34,52) აჩვენა.

ფრანგების მთავარი მეტოქეები — ავსტრიელები მარჯვედ ეშვებოდნენ. ჰ. მესნერმა III ადგილი დაიკავა (1.34,02), ვ. ბლაინერმა — IV (1.34,05), კ. შრანცმა—V (1.34,17).

პირველობა მოიგო დ. ჯოვანიოლიმ (შვეიცარია) — 1.33,27, რომელსაც პოლონელი ა. ბაჰლედა ოდნავ ჩამორჩა — 1.33,92. პოლონელი სამთომოთხილამურეებიდან ასეთი წარმატება ადრე არავის მოუპოვებია.

ფრანგი ვაჟების წარუმატებლობა ქალებმა გამოასწორეს — ოთხი პირველი ადგილი მოიგეს. ყველას აჯობა მირმა. II ადგილზეა სტიორერი, III — ჟაკო, IV — მაკი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ფრანგებს ახლა 827 ქულა აქვთ, ავსტრიელებს — 320, აშშ-ს მოთხილამურეებს — 274.

# ხუთნი ნაკრებში

სსრ კავშირის სამთომოთხილამურენი საერთაშორისო სარბიელზე მუდამ უხეიროდ გამოდიან. მიზეზების ძიებამ სპეციალისტები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჩვენში ადრე არსებული ტრასები მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით ბევრგან ახალი ურთულესი ტრასები აიგო, ბევრიც შენდება. შედეგებიც ამაღლდა, მაგრამ სასურველ მიზნამდე ჯერ ვერ მიაღწიეს. რა ხდება? სამთოსათხილამურო სპორტი მეტად შრომატევადი, რთული სახეობაა და მისი ყველა საიდუმლოების დაუფლებისთვის ბავშვობიდანვე ვარჯიშია საჭირო. ამას ავსტრიის, იტალიის, საფრანგეთის, აშშ-ს, შვეიცარიის სპორტსმენთა გამოცდილებაც ადასტურებს. საკავშირო ფედერაციამ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში ბავშვების შეჯიბრებებიც შეიტანა, რასაც, რა თქმა უნდა, წინ უნდა უსწრებდეს ცენტრალური საბჭოების ტურნირები.

ერთი ამგვარი შეჯიბრება — „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ამას წინათ სლავსკში ჩატარდა. სტარტზე გამოვიდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ყაზახეთის, ესტონეთის, ლიტვის, საქართველოს, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ბიჭები და გოგონები, საშუალო და უფროსი ასაკის ჭაბუკები და ქალიშვილები.



საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა რსფსრ-ს I ნაკრებმა. ბავშვთა ტურნირში მან I ადგილი მოიპოვა, საშუალო და უფროსი ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებებში — III, საბოლოოდ კი 186 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდნენ მოსკოველი მოსწავლეები (170 ქულა). ისინი უძლიერესნი იყვნენ უფროს ასაკში, მეორენი — საშუალო ასაკში და მეოთხენი — ბავშვთა შეჯიბრებაში. რსფსრ-ს მეორე გუნდმა 149 ქულა მოაგროვა და III ადგილი დაისაკუთრა.

საქართველოს კოლექტივს V ადგილი ხვდა (125 ქულა). ჩვენები უძლიერესნი აღმოჩნდნენ საშუალო ასაკის ჯგუფში. ბავშვების ტურნირში მათ მესამე შედეგი მოიპოვეს, მაგრამ უფროს ასაკში VI ადგილს დასჯერდნენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ ასაკის გოგონები მათ საასპარეზოდ არ წაუყვანიათ (გოგონები არც უმცროსთა ჯგუფში გვყავდა). ეს რომ არა, საქართველოს სამთომოთხილამურეებს გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გასვლის შანსი მაინც ჰქონდათ.

შეჯიბრება სპეციალური სლალომით დაიწყო. ორივე ასაკის ჭაბუკები 420-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 120 მ, 48 კარი) ასპარეზობდნენ. უფროსი ასაკის ჯგუფში პირველობა მოიგო რ. საფინმა (მოსკოვი), რომელმაც ორი ცდით 1.48,2 აჩვენა. საქართველოს გუნდიდან საუკეთესომ ა. კოზანაშვილმა (ბაკურიანი) VIII ადგილი დაიკავა — 2.18,3.

საშუალო ასაკის ჯგუფში ყველას აჯობა ნ. კედრინმა (რსფსრ I) — 1.26,4. ბაკურიანელი გ. ფანჯაკიძე III ადგილზე გავიდა — 1.39,1.

ბიჭებისთვის ტრასის სიგრძე 360 მ იყო (სიმაღლეთა სხვაობა 100 მ, 43 კარი). პირველ ცდაზე საქართველოს გუნდის წევრები, ბაკურიანელი ა. ფილიევი (37,5) და თბილისელი გ. ლომინაძე (38,4) დაწინაურდნენ. მესამე შედეგი ჰქონდა ი. კლევცოვს (უკრაინა) — 38,6. მეორე ცდაზე ლომინაძემ 35,8 წამი აჩვენა, კლევცოვმა — 35,3, ფილიევმა — 36,5. როცა მსაჯებმა ორი ცდის მაჩვენებლები შეაჯამეს, პირველობა კლევცოვს დარჩა — 1.13,9. II ადგილზეა ფილიევი — 1.14,0, III — ლომინაძე — 1.14,2.

შემდეგ სარბიელი გოგონებს დაუთმოთ. ტრასის მონაცემები იგივე იყო. ყველაზე პატარებში ო. აგრანოვსკაიამ (რსფსრ I) იმარჯვა — 1.06,6, უფროსი ასაკის ჯგუფში — ი. სოკოლოვამ (მოსკოვი) — 1.36,7. რაც შეეხება საშუალო ასაკს, აქ უკეთესი შედეგებია ნაჩვენები. პირველი ცდით ო. კოზლოვა (უკრაინა) დაწინაურდა — 42,8, მაგრამ მეორე ცდაზე მან ბევრი დრო დაკარგა, საბოლოოდ 1.32,6 აჩვენა და III ადგილზე გავიდა. მოსკოველმა ს. სურკოვამ ორივე ცდაზე თანაბრად ისპარეზა (45,6+45,5) და პირველობაც მოიგო — 1.31,1. II ადგილზეა ტ. კუჩერუკი (მოსკოვი) — 1.32,0. ბაკურიანელი მოსწავლე თ. კოზანაშვილი პირველ ცდაზე დაეცა და, როცა ფინიშთან მივიდა, წამმზომებმა 52,0 აჩვენეს. მეორე ცდაზე, მართალია, მას მესამე შედეგი (48,6) ჰქონდა, მაგრამ ჯამში IV ადგილზე მაღლა ვერ ავიდა — 1.40,6. კოზანაშვილის თანასკოლელი დ. ბაკაევა მეექვსე იყო — 1.58,2.

ლომინაძე შეუდარებელი იყო გიგანტურ სლალომში (900 მ, 200 მ, 28 კარი). ტრასის გავლისთვის მან ზუსტად 2 წუთი დახარჯა, მაშინ, როცა მეორე პრიზიორმა ვ. ბაბინმა (ესტონეთი) ამას 2.02,5 მოანდომა, ვ. გუშჩინმა (რსფსრ II) კი — 2.06,9. ფილიევი IV ადგილზე გაიდა — 2.09,2.

უფროსი და საშუალო ასაკის ჭაბუკებისთვის ტრასა 1280 მეტრამდე გაზარდეს (სიმაღლეთა სხვაობა 350 მ, 39 კარი). საშუალო ასაკის ჯგუფში გაიმარჯვა კედრინმა — 2.36,4. ფანჯაკიძემ V ადგილი დაიკავა — 2.49,5.

უფროსი ასაკის ჭაბუკებში ყველას აჯობა ოსტატობის კანდიდატმა ლ. შიხოვმა (რსფსრ I) — 2.36,0. ბაკურიანელ ნ. ბუძიშვილს, რომელიც აქ მოზარდთა I თანრიგით ჩამოვიდა, VI ადგილი ხვდა — 2.49,0. მან მოზრდილთა II თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

როცა პატარებისთვის ორჭიდის შედეგები შეჯამდა (მათთვის სწრაფდაშვებაში შეჯიბრება არ გამართულა), პირველობა ლომინაძეს დარჩა — 2,34 საჯარიმო ქულა. II ადგილი მიეკუთვნა ბაბინს — 46,93, III — ფილიევს — 47,24.

აგრანოვსკაიამ მოიგო გოგონათა გიგანტური სლალომიც (650 მ, 120 მ, 27 კარი) — 1.04,8, და, რა თქმა უნდა, ორჭიდიც.

საშუალო ასაკის ქალიშვილების (900 მ, 170 მ, 37 კარი) შეჯიბრებაში კოზანაშვილს ბადალი არ ჰყავდა — 2.24,8. ამას ისიც ადასტურებს, რომ თინამ მეორე პრიზიორ სურკოვას 11,2 წამი მოუგო. ბაკაევა ამ სახეობაში XI ადგილზე გავიდა — 3.48,6. უფროს ასაკში პირველი იყო ა. პავკოვიჩი (უკრაინა) — 2.10,4.

ბოლო სახეობა სწრაფდაშვება გახლდათ. ჭაბუკები 1700-მეტრიან დისტანციაზე (სიმაღლეთა სხვაობა 400 მ, 27 კარი) იბრძოდნენ პირველობისთვის. უფროსი ასაკის სპორტსმენებში გაიმარჯვა შიხოვმა — 2.28,8. ბუძიშვილმა ამჯერად II ადგილი მოიპოვა (2.32,4) და ახლა მოზრდილთა I თანრიგის ნორმატივიც შეასრულა.

საშუალო ასაკის ჯგუფში იმარჯვა ნ. გრეზნიოვმა (რსფსრ II)—2.41,4. ფანჯაკიძე III ადგილზეა — 2.43,7. ამ ტურნირში ლომინაძე უკონკურსოდ დაუშვეს და XII ადგილზე გასვლა მაინც მოახერხა — 2.50,2.

გოგონათა სწრაფდაშვებაში (1500 მ, 350 მ, 27 კარი) მეორეთანრიგოსანმა კოზანაშვილმა I თანრიგის ნორმატივიც შეასრულა და თანატოლებში პირველობაც დაისაკუთრა — 2.07,7. უფროსი ასაკის ჯგუფში იმარჯვა პავკოვიჩმა — 2.00,4.

კოზანაშვილს კიდევ ერთი პირველი ადგილი დარჩა, როცა სამჭიდის შედეგები შეაჯამეს.

საქართველოს 5 სპორტსმენი (ბუძიშვილი, ფანჯაკიძე, კოზანაშვილი, ა. ბანდური და ლომინაძე) ცენტრალური საბჭოს ნაკრებში ჩარიცხეს. ისინი თანატოლთა საკავშირო პირველობაში გამოვლენ.

რ. მაღრაძე.

* * *

სურათზე: გ. ლომინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი ფეხბურთის პრობლემებზე

# დებულება კანონია!

„ლელოს“ ფურცლებზე გაჩაღდა დისპუტი, რომლის მონაწილენი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად არიან დაყოფილი. ერთნი ამტკიცებენ, რომ „ბ“ კლასში ჩვენი გუნდების რაოდენობის გაზრდა ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში ფეხბურთის წინსვლას, მეორენი იმ აზრისა არიან, რომ „ბ“ კლასში საქართველოს წარმომადგენლობის ხელოვნურ ზრდას სარგებელი არ მოაქვს.

ჩვენს რესპუბლიკას „ა“ კლასში სულ 5 გუნდი ჰყავს, ამდენივეა საკმარისი „ბ“ კლასშიც. ესაა ჩემი მოსაზრება და, ამდენად, მე მეორე ბანაკის მომხრეთა შორის ჩავითვლები.

როგორც ვიცით, „ბ“ კლასში გუნდის ყოლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ქალაქს ჰქონდეს 10000-ადგილიანი სტადიონი. საქართველოს შარშანდელი ჩემპიონიც ამ პირობით იქნა გადაყვანილი „ბ“ კლასში. მაგრამ განა ყველა ქალაქს აქვს ასეთი სტადიონი, ვისი გუნდიც „ბ“ კლასში თამაშობს? ჩვენ ხომ ვიცით, რამდენი მაყურებელი ეტევა სოხუმის, ქობულეთის, ლანჩხუთის, ცხინვალის სტადიონებზე. სადაც ასეთი სტადიონი არ არის, ცხადია, იქაური გუნდი თავისთავად არარენტაბელური იქნება. სადაც არ არის კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა, არც მაღალი კლასის ფეხბურთელი გაიზრდება. ამიტომ ოსტატთა გუნდები უნდა გვყავდეს იქ, სადაც არის კეთილმოწყობილი ბაზა, არიან ადგილობრივი ფეხბურთელები და მაყურებელიც. იგი უნდა მოვიდეს სტადიონზე და ნახოს საინტერესო, ლამაზი თამაში, ნაყოფიერად გაატაროს თავისი დასვენების საათები. მაგრამ სადაც ტრიბუნები ცარიელია, გამოდის, რომ ფეხბურთი იქ არ აინტერესებთ და თვით ფეხბურთელებიც ნაკლები მონდომებით თამაშობენ.

ყველა დამეთანხმება, რომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთილ იქნეს მოთამაშეთა ხეტიალი გუნდიდან გუნდში. ყოველგვარი საშუალებით უნდა გადავუღობოთ გზა „უკეთესი პირობების“ მაძიებელ მოთამაშეებს. საკითხავია, რას ეძებენ ეს ვაი-ფეხბურთელები, ვისი პატრიოტები არიან ისინი? ჩამოსული ფეხბურთელი პირველ ყოვლისა აკეთებს იმას, რომ ზღუდავს ადგილობრივი კადრების ზრდას.

როგორც ვიცით, საქართველოს „ბ“ კლასის გუნდებში დაწესებულია ასაკობრივი ლიმიტი. ეს ღონისძიება საჭირო და მიზანშეწონილი იყო, მაგრამ მასში კორექტივის შეტანაა საჭირო. ამჟამად არსებული ასაკობრივი შეზღუდვის წესი ზოგჯერ ართულებს საქმეს. ვთქვათ, მინდორზეა გადაზრდილი ასაკის ორი მოთამაშე. ამ დროს მეკარე რომ დაშავდეს, მის ნაცვლად ვერ გამოიყვან გადაზრდილი ასაკის სათადარიგო მეკარეს, თუ მინდვრის ერთ-ერთი გადაზრდილი წლოვანების მოთამაშეს ახალგაზრდით არ შეცვლი. თუ ასეთი საერთოდ არ აღმოჩნდა გუნდში, მას 10 ფეხბურთელით თამაში მოუწევს.

ეს აბსურდია.

„ბ“ კლასის გუნდს განაცხადში 16 ერთეული ჰყავს. სწორედ ამ განაცხადშია საჭირო დაწესდეს ასაკობრივი ნორმები, ხოლო ცალკეულ მატჩებში მწვრთნელებს თავიდან უნდა ავარიდოთ ეს ზედმეტი ბუღალტერია და მივცეთ საშუალება გამოიყვანონ ის, ვინც კონკრეტულ მატჩშია საჭირო და ვისაც მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია. რა იქნება ასეთი ლიმიტი რომ დავაწესოთ: 8 ფეხბურთელი ასაკის განუსაზღვრელად, 7—27 წლამდე და 6—24 წლამდე? ეს ციფრები მე მხოლოდ მაგალითისთვის მოვიყვანე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სჯობს ასაკობრივი ლიმიტი დაწესდეს საგანაცხადო სიაში და არა ყოველი თამაშისთვის.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგინდეს გუნდების ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლის საკითხი მათი სპორტული მაჩვენებლების მიხედვით. წლეულს ყველაფერი მოხდა ისე, როგორც საჭირო იყო: საქართველოს ჩემპიონი გადავიდა „ბ“ კლასში, ხოლო „ბ“ კლასის საუკეთესო გუნდი — „ა“ კლასის II ჯგუფში. მომავალშიც ასე უნდა მოხდეს.

ყოველ შეჯიბრებას აქვს თავისი ძირითადი კანონი — დებულება, და ეს კანონი მუდამ ზუსტად უნდა დავიცვათ.

ო. ჯებაშვილი,

რუსთავის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# რას მოგვცემს შემცირება?

ამ ბოლო წლების მანძილზე მე უკვე აღარ მახსოვს, რომ არ შეცვლილიყოს ფეხბურთის შეჯიბრებებში ადრე მიღებული დებულება. მთავრდება სეზონი და არ იცი, რა მოხდება მეორე წელს: ადრე შემუშავებული დებულებით ჩატარდება ახალი სეზონი, თუ კვლავ მოხდება ცვლილებები?

ახლა ბევრი ლაპარაკობს, რომ საქართველოს ჭარბად ჰყავს „ბ“ კლასში გუნდები, მაგრამ რა ვუყოთ? ასე, ერთი ხელის მოსმით შევამციროთ მათი რაოდენობა? რას მოგვცემს ეს, რა სარგებელს? ყველა დამერწმუნება, რომ ამ გუნდების ყოლით ბევრი კარგი რამ გაკეთდა ჩვენს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, აიგო დიდი სპორტული ბაზები, ბევრის აგება უახლოესი გეგმითაა განზრახული, მოთამაშეები გაეცნენ დიდ ფეხბურთს და ა. შ.

ვრცელ ასპარეზზე გასვლა ყველას აინტერესებს და ამ მიზნის მისაღწევად ადგილებზე ბევრი რამ სასარგებლო კეთდება. თუნდაც ის, რომ იქმნება ე. წ. მოსამზადებელი, სპეციალიზებული ჯგუფები, სადაც ნორჩ ფეხბურთელებისადმი მეტ მზრუნველობას იჩენენ და წინსვლის მეტი საშუალებაც აქვთ.

არ ვეთანხმები წულუკიძის „ფეიქრის“ მწვრთნელის ჯ. ხანიძის მოსაზრებას, რომელიც მოითხოვს: „ბ“ კლასში საქართველოდან დარჩეს მხოლოდ 4 გუნდი, და ამბობს, რომ მეზობელი რაიონების გუნდების შეხვედრებს მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე შორიდან ჩამოსული კოლექტივების გამოსვლებსო. მატჩებზე მაყურებელთა დასწრება განისაზღვრება არა იმდენად მეზობლობის ინტერესებით, რამდენადაც თამაშის ხარისხით, თვით ფეხბურთელთა მომზადების დონით და მთელი მუშაობაც იმ მხრივ უნდა იქნეს წარმართული, რომ ამაღლდეს მოთამაშეთა კლასი.

ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებლად უნდა აიკრძალოს მოთამაშეთა გაუთავებელი მოგზაურობა სხვადასხვა გუნდში. ვინ უფრო დაიცავს, ვთქვათ, ჭიათურის სპორტულ ღირსებას, ჭიათურელი მკვიდრი თუ მოწვეული ფეხბურთელი, რომელსაც სახვალიო გეგმაში სხვაგან გადანაცვლება აქვს განზრახული? აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველო და ფეხბურთის ფედერაცია კარგ საქმეს გააკეთებენ, თუ კონკრეტულ ღონისძიებებს დასახავენ „მომთაბარე“ ფეხბურთელთა საწინააღმდეგოდ.

შ. ტატიშვილი,

ჭიათურის სპორტკომბინატ „მაღაროელის“ დირექტორი.



# ბრძოლა ბრძოლდება

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის დარბაზში (პეტრიაშვილის ქ. № 7) მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის რვა უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეთა ტრადიციული შეჯიბრება.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — კიევის გუნდის წარმომადგენელი ლ. ზაიაცი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს; მარჯვნივ — ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ნ. დიმიტრენკო დვირზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ე. რუსაკისა.

# კარგი ტურნირი, ცოტა მონაწილე

ახალმა წელმა დიდი სიხარული მოუტანა წალენჯიხის ჭადრაკისა და შაშის მოყვარულებს: დაბის ადმინისტრაციული სახლის ერთ-ერთ ვრცელ და ნათელ ოთახში საჭადრაკო კლუბი გაიხსნა. აქ მოშამეებსაც ხშირად შეხვდებით.

„კოლმეურნის“ რაისაბჭომ მოშაშეთა პირველი რაიონული ჩემპიონატი ჩაატარა. ბრძოლაში ჩაება მხოლოდ 10 სპორტსმენი, მათ შორის, 4 ქალი. ქალთა შორის უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ი. ფიფიამ. II ადგილი დაიკავა ნ. ციმინტიამ (ორივე — სოფ. ორჯონიკიძე). ვაჟებში პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: 1. ჯ. საჯაია (სოფ. ობუჯი), 2. პ. ქარდავა (სოფ. ორჯონიკიძე), 3. მ. კვარაცხელია (სოფ. ჯგალი).

რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობისა და ჩაის საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციებმა ჩემპიონატში მონაწილეობა არ ისურვეს.

ო. სალია.

(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

[illegible]

✦ გორი

ბევრი მსმენელი მიიზიდა გამსვლელმა სამეცნიერო სესიამ, რომელიც საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოაწყო გორში. დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ლექტორების დ. ქვანიას („ფიზიკური აღზრდა და ჯანმრთელობა“), ნ. შიშნიაშვილის („ხალხური მოძრავი თამაშობანი და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა“), ექიმ ც. კაკაბაძის („ფიზიკური ვარჯიშების გავლენა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მორფოლოგიურ-ფუნქციონალურ მდგომარეობაზე“) მოხსენებები.

ი. თევდორაშვილი.

# მთელი სიცოცხლე ჭადრაკის სამსახურში

თვითონ ნიკოლოზ სოროკინსაც არ ახსოვს, რამდენ ტურნირში უთამაშია 1916 წლიდან დღემდე. ჭადრაკის სიყვარულში სწრაფად განვლო ექვსმა ათეულმა წელმა. ამ ღვაწლმოსილ მოჭადრაკეს 70 წელი შეუსრულდა.

ნ. სოროკინს ნათლად ახსოვს 1915 წელი, როცა კიეველი გიმნაზისტი „ვარშავის კაფეში“ შეიპარა, დიდოსტატ ა. ალიოხინის წინააღმდეგ სეანსში ითამაშა და პარტიაც მოიგო. ბოლოს, 1967 წელს მან სოჭის ღია ჩემპიონატში ითამაშა და I ადგილი დაიკავა.

ამ შეჯიბრებებს შორის მთელი სიცოცხლეა. ნ. სოროკინმა იგი მთლიანად ჭადრაკს უძღვნა. თბილისში 1925 წელს ჩამოვიდა კიევიდან, უკვე ცნობილი მოჭადრაკე, და აქ დასახლდა სამუდამოდ. იგი მხარში ამოუდგა ქართველ მოჭადრაკეებს და ჩვენში გამართულ თითქმის ყველა თვალსაჩინო ტურნირში მონაწილეობდა.

საკმარისია ითქვას, რომ ნ. სოროკინმა საქართველოს I ჩემპიონატში (1928 წ.) I-II ადგილები გაიყო ვ. გოგლიძესთან, ხოლო 1947 და 1951 წლებში იგი კვლავ რესპუბლიკის ჩემპიონი იყო. ყოფილა ამიერკავკასიის ჩემპიონიც. ორჯერ (1931 და 1933 წ.წ.) მონაწილეობდა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში. საინტერესოა, რომ თბილისელმა მოჭადრაკემ 1934 წელს სომხეთის I ჩემპიონატშიც I-II ადგილები გაიყო ჰ. კასპარიანთან.

1933 წელს ნ. სოროკინმა სპორტის ოსტატის წოდება მოიხვეჭა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ეს წოდება გაუგებრობის გამო ჩამოერთვა. ამან გული როდი გაუტეხა, თუმცა, ალბათ უარყოფითად იმოქმედა მის საჭადრაკო კარიერაზე. მხოლოდ 58 წლის ასაკში მოსკოველ გ. ფრიდშტეინთან მატჩში დაიბრუნა სოროკინმა დაკარგული წოდება.

20-ან წლებში ნ. სოროკინმა სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა „თვალხუჭულა“ თამაშში (იმ დროს ასეთი თამაში ნებადართული იყო): იგი ერთდროულად 16 უძლიერეს მეტოქეს ეთამაშა, 4,5 საათში 10 პარტია მოიგო, 4 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 2 წააგო. ეს რეკორდი დღემდე უცვლელია.

სოროკინი ტურნირებში გამოსვლებით, ლექციებისა და ერთდროული თამაშის სეანსების გამართვით არ კმაყოფილდებოდა, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე იგი 15 წელიწადს (1926-1941 წ.წ.) ხელმძღვანელობდა საჭადრაკო განყოფილებას, შემდგომ კი განყოფილებას სათავეში ჩაუდგა გაზეთ „მოლოდოი სტალინეცში“. იგი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თითქმის ყველა პერიოდულ საჭადრაკო გამოცემაში.



ბევრი მოჭადრაკე ნ. სოროკინს იცნობს როგორც ობიექტურ და საქმიან მსაჯს. მას — საკავშირო კატეგორიის მსაჯს — სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა ბევრი ჩემპიონატისთვის გაუწევია არბიტრობა.

დღეისთვის ნ. სოროკინი ჭადრაკის უხუცესი საბჭოთა ოსტატია, მაგრამ კვლავ საყვარელი საქმის ერთგულია: ამ თამაშის სიბრძნეს უსწავლის უსინათლოთა კულტურის სახლსა და ინტერნატში.

ვუსურვოთ ვეტერან თბილისელ ოსტატს ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

თ. გიორგაძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. სოროკინი.

# ფედერაციის არჩევნებზე

გაიმართა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება ფედერაციის პრეზიდიუმის გაწეული მუშაობის შესახებ. სიტყვებით გამოვიდნენ მწვრთნელები, მსაჯები, სპეციალისტები.

არჩეულ იქნა საქალაქო ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია მ. მაჩაბელი.

# ჩვენი ძმურ რესპუბლიკებში

## კამპანია „ზუსტი მსროლელი“

ტირში ხუთ ჭაბუკს მოუყრია თავი. კიროვის მსროლელთა საოლქო კლუბის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, სპორტის ოსტატი ი. ზორინა მათ თვალს ადევნებს და ფიქრობს: „უკვე მეათე დღეა მოდიან ჭაბუკები და ქალიშვილები გაზეთებიდან ამოჭრილი ტალონებით და თითქმის ყველა ასრულებს „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ კომპლექსის ნორმატივებს. თუ ამას ვაზნებსაც დავუმატებთ, ბევრი სათანრიგო ნორმატივებსაც შეასრულებს“.

დაიწყო სროლა. ბრძანებაზე ყველა სამიზნეს აკვირდება. კომბინატ „ისკოჟის“ სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკლები ვ. ბაბკინი და ა. ვერეშჩაგინი კმაყოფილი არიან: ნორმა შესრულებულია. მათმა ამხანაგმა ა. დორონინმა 50 შესაძლებლიდან 42 ქულა მოაგროვა.

როგორც ოლქის ყველა სხვა სასროლეთზე, დიდი გამოცოცხლებაა ლეპსეს სახელობის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხნის ტირშიც. სარბიელზე პირველი გამოვიდა ამწყობი ზეინკალი ლ. ჩაუზოვა.

— 50-დან 44 ქულა კარგი შედეგია, — ამბობს მეთოდისტი ვ. კოკორინი.

აი, ცეცხლის ხაზზეა ტექნოლოგი ლ. ტრეშჩალოვა — 45 ქულა. ერთი ქულით მეტი მოიპოვა ხარატმა ბ. ზლობინმა. ამ დღეებში ტირში კიდევ 200-ზე მეტი მუშა მოვიდა. სულ კი ათი დღის განმავლობაში ოლქის ქალაქებსა და სოფლებში სროლაში ასპარეზობდა 7 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი.

მიმდინარეობს კამპანია „ზუსტი მსროლელი“...

ამ კამპანიას ატარებენ ალკკ კიროვის საოლქო კომიტეტის, დოსააფისა და საოლქო ახალგაზრდული გაზეთის რედაქცია. ამ გაზეთის ყოველ ხელის მომწერს შეუძლია ამოჭრას პირველ გვერდზე დაბეჭდილი ტალონი და დოსააფის ნებისმიერ ტირში უფასოდ შეასრულოს სამი საცდელი და ხუთი ჩასათვლელი გასროლა.

ნორმატივები ტალონის მეორე მხარეზეა მითითებული. ის, ვინც ამ ნორმატივებს შეასრულებს, ერთ გრაფას შეავსებს სპორტული და მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის საკავშირო დათვალიერების მონაწილის ფურცელში.

ვისაც გაზეთი გამოწერილი არა აქვს, ის ტირში ტალონების მფლობელთან ერთად მიდის. იქ მას ვაზნებით უზრუნველყოფს დოსააფის პირველადი ორგანიზაცია.

კამპანია „ზუსტი მსროლელი“ 5 თებერვლამდე გაგრძელდება.

**გ. ზიკოვი.**

(საქდესის სპეც. კორ.).

კიროვი.

## 16 წლის გოლიათი

ხარკოვის 32-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, იური კორიაკინმა პასპორტი ახლახან მიიღო. მაგრამ მისი გოლიათური აღნაგობა ბევრ მასზე უფროსს შეშურდება. იური ტანად 182 სანტიმეტრია და 90 კილოგრამს იწონის. იგი ჰარმონიულადაა განვითარებული და ძალიან ლონიერია.

ყოველივე ამას ხელი შეუწყო ჭაბუკთა სპორტულ სკოლაში რეგულარულად მეცადინეობამ. იურის საყვარელი სახეობა ბადროსა და უროს ტყორცნაა. იგი ოლქის ჩემპიონია თავის ასაკობრივ ჯგუფში და I ადგილზეა უკრაინის მოსწავლეთა შორის. ახალგაზრდა გოლიათი ჩინებულად ტყორცნის ხელყუმბარას, ვარჯიშობს ჰანტელებითა და შტანგით, თამაშობს ფრენბურთსა და კალათბურთს, სრიალებს ციგურებით.

იური კარგად სწავლობს. იგი ხშირი სტუმარია ადგილობრივი კულტურის სახახლის მუსიკალური სტუდიისა, სადაც ბაიანზე დაკვრა ისწავლა.

(უკრაინის დეპეშათა სააგენტო).

ხარკოვი.

## დაიგვიანეს...

კიევში მიმდინარეობს ზამთრის ტრადიციული საკავშირო ტურნირი ჩოგბურთში. გუნდურ პირველობაში მონაწილეობა უნდა მიეღო 8 კოლექტივს, მაგრამ ბრძოლაში შვიდი ჩაება. საქმე ის გახლავთ, რომ სანამ საქართველოს ჩოგბურთელები ინდოეთიდან და თბილისიდან თვითმფრინავით კიევს ჩავიდოდნენ, გაიმართა პირველი წრის (მეოთხედფინალი) შეხვედრები, მერე კი მეორე წრისაც (ნახევარფინალი)...

პირველ წრეში საქართველოს გუნდი რსფსრ-ს ნაკრებს უნდა შეხვედროდა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი კიევში დროზე ვერ ჩავიდნენ და რსფსრ-ს ნაკრებს უბრძოლველად მოგება მიეკუთვნა.

ნახევარფინალში ესტონელებმა დაამარცხეს უკრაინელები (5:3), ხოლო მოსკოველებმა — რუსეთის ფედერაციის ჩოგბურთელები (6:1).

## პირველ ადგილებზე კალათბურთი და ფრენბურთი



სპორტის რომელი სახეობა სარგებლობს ყველაზე დიდი პოპულარობით დედამიწაზე?

ამ შეკითხვას ორნაირი პასუხი აქვს. პოპულარობის საზომად სპორტსმენთა რაოდენობას თუ მივიღებთ, მაშინ კალათბურთი და ფრენბურთი უნდა დავასახელოთ, პოპულარობას თუ ეროვნული ფედერაციების რიცხვით განვსაზღვრავთ, მძლეოსნობას ეძლევა პრიორიტეტი.

საერთოდ, მსოფლიოში არსებობს 54 საერთაშორისო ფედერაცია, მაგრამ მეტი ყურადღება ეთმობა იმ ფედერაციებს, რომლებიც ოლიმპიურ დისციპლინებს ემსახურებიან. აი, სწორედ ამ ოლიმპიურ სახეობათა კლასიფიკაციას იძლევა ბულგარეთის გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ (პირველი ციფრი აღნიშნავს სპორტსმენთა, ხოლო მეორე — ფედერაციების რაოდენობას).

| | | |
|---|---|---|
| კალათბურთი | 65.000.000 | 127 |
| ფრენბურთი | 65.000.000 | 108 |
| ფეხბურთი | 25.800.000 | 135 |
| სროლა | 25.000.000 | 94 |
| მძლეოსნობა | 19.500.000 | 143 |
| ცურვა | 10.500.000 | 98 |
| თხილამურები | 8.000.000 | 47 |
| ძიუდო | 6.000.000 | 78 |
| ჭიდაობა | 4.200.000 | 88 |
| ძალოსნობა | 4.200.000 | 93 |
| ტანვარჯიში | 4.200.000 | 62 |
| აფროსნობა | 3.200.000 | 68 |
| კრივი | 2.800.000 | 117 |
| ველოსპორტი | 2.800.000 | 107 |
| ბალახის ჰოკეი | 2.800.000 | 59 |
| ხელბურთი | 2.800.000 | 49 |
| ფარიკაობა | 1.600.000 | 73 |
| მშვილდოსნობა | 1.200.000 | 49 |
| ჰოკეი | 1.200.000 | 34 |
| ფიგურული ციგურ. | 800.000 | 38 |
| ბიატლონი | 300.000 | 48 |
| ნიჩბოსნობა | 210.000 | 37 |
| ციგურაობა | 120.000 | 22 |
| ბობსლეი | 30.000 | 17 |

სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა შორის ყველაზე მასობრივია თევზაობა (24.000.000), მაგიდის ჩოგბურთი (22.500.000) და გოლფი (15.000.000).

* * *

სურათზე: საჯარიმო დარტყმის მოლოდინში (ბალახის ჰოკეი).

ფოტო შ. ფიჩხაძისა.



## იასპარეზეს რკინიგზელთა მოსწავლეებმა



ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრებები ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. ამ სახეობებში ფინალური ტურნირები გაიმართა ცხაკაიას რკინიგზის სკოლა-ინტერნატში.

მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვება მოიპოვა ოჩამჩირის რკინიგზის მე-15 სკოლის გუნდმა (ხელმძღვანელი ა. დამენია). ჭაბუკთა პირად პირველობაში თავი გამოიჩინა ხაშურელმა თ. გუჯეჯიანმა, რომელიც ჩემპიონი გახდა. II ადგილი დაიკავა სამტრედიელმა ნ. აბაშიძემ, III — ოჩამჩირელმა მ. თუნგიამ. გოგონათა შორის თავი ისახელა თბილისის რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენელმა ე. გოგნიაშვილმა. II ადგილზე გავიდა ოჩამჩირელი ლ. მიქაია, III — სამტრედიელი მ. ქვათაშიძე.

ჭადრაკში წარმატება მოიპოვეს ცხაკაიას რკინიგზის სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა. მათ 21,5 ქულით დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი და სამახსოვრო სიგელებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. 18 ქულით II ადგილზე გავიდნენ თბილისის რკინიგზის 1-ლი სკოლის მოჭადრაკეები. სპეციალისტების მოწონება დაიმსახურეს ცხაკაიელებმა ბადრი გოგიამ, ნუგზარ ლომაიამ და ნინო ჯანჯღავამ, რომელთაც I თანრიგის ნორმატივი შეასრულეს. 12 წლის გოგონამ ნონა მაისაიამ II თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

— მოხარული ვარ, რომ ნორჩ მოჭადრაკეთა შეჯიბრება ასე კარგად და მაღალ დონეზე ჩატარდა, — განაცხადა ცნობილმა მწვრთნელმა მ. შიშოვმა. ამ 20 წლის წინ სწორედ მოსწავლე რკინიგზელთა შეჯიბრებაში, რომელიც აქვე, ცხაკაიაში ჩატარდა, გამოდიოდა ახალგაზრდა, ამჟამად უკვე ცნობილი მოჭადრაკე ბ. გურგენიძე.

**ე. გუგუნავა,**
**ა. ეჯიბია.**

ცხაკაია.

* * *

**სურათებზე:** მაგიდის ჩოგბურთში I ადგილზე გასული ოჩამჩირელთა გუნდი. მარცხნივ — ნორჩ ჩოგბურთელთა ხელმძღვანელი ა. დამენია; ნორჩი მოჭადრაკე ნ. მაისაია; ნ. ლომაია, რომელმაც მოჭადრაკე ბიჭების პირად შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა.

ფოტო ნ. მანჯგალაძისა.



### წარსულის ფურცლები

## ძველი ამბავი

ერთხელ დიდედა დესპინემ ერთი პატარა ვერცხლის სურა მაჩუქა. სურა ლამაზი იყო, ქართველი ოსტატის ნახელავი, ზედ კი შემდეგი ლექსი იყო ამოკვეთილი:

**ვის გცნობ ჩემთვის მამიდათა**
**იმას გიძლვნი შენი დათა.**

წარწერამ, რა თქმა უნდა, დამაინტერესა და დიდედამ მიამბო:

— ეს სურათი დათა გუგუნავას, სიმონის მამას უჩუქებია ბაბუაშენ პაპუნას შინაბერა მამიდისათვის, რომელსაც თურმე ერთი უცნაური ზნე სჭირდა — სადაც უნდა ყოფილიყო, შინ თუ გარეთ, მხოლოდ და მხოლოდ თავის, განსაკუთრებულ ჭურჭელს ხმარობდა.

ამას ბებიამ დათას ამბავიც მოაყოლა:

— დათა იყო ძველი ქართული მწერლობის ჩინებული მცოდნე, ზმისა და შაირის გამომთქმელი, მოლექსე და მომღერალი, ამასთან, შესანიშნავი ვაჟკაცი და მოჯირითე. ერთხელ თურმე მის ეზოში ახალგაზრდები ისარს ტყორცნიდნენ მაღალი ხის კენწეროზე ჩამოკიდებულ ყაბახს. ამ დროს მოხუცი დათა გუგუნავა შორიახლოს ეზოში ბოლთასა სცემდა. ბევრს ეცადნენ ახალგაზრდები ყაბახი ჩამოეგდოთ, მაგრამ არა თუ ვერ ჩამოაგდეს, იქამდისაც კი ვერ მიაწვდინეს ისარი.

— აი, თქვე გლახებო, თქვენა, — დაიძახა თურმე დათამ, ფეხი გააქნია და ქოში, რომელიც ზედ ეცვა, ხეს გადააცილა.

ეს ამბავი მწერალ როდიონ ქორქიას რომ ვუთხარი, მანაც მიამბო შალვა დადიანისაგან გაგონილი ერთი გადმოცემა. თურმე დათას შეკაზმული ცხენის უნაგირზე ალესილი პირით ზემოთ დაუმაგრებდნენ ხმალს და ისიც სრულიად თავისუფლად გადაახტებოდა ამ დაბრკოლებას.

შეიძლება ეს ამბავი ცოტა გაზვიადებული იყოს, მაგრამ იგი მოწმობს, რა ვაჟკაცები იყვნენ ჩვენი წინაპრები და რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სპორტს.

**პაპუნა წერეთელი.**

## მხოლოდ 60 წუთი...

დიდი ბრიტანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა საინტერესო სტატისტიკური მონაცემები. მრავალგზის დაკვირვებებისა და მათი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მატჩისთვის განკუთვნილი 90 წუთიდან ფეხბურთელები თამაშს საშუალოდ 60 წუთს ანდომებენ. უფრო ზუსტად, „წმინდა დრო“ მერყეობს 56 წუთიდან 67 წუთამდე.

დადგინდა, აგრეთვე, რომ ერთ თავისუფალ დარტყმას დაახლოებით 16 წამი სჭირდება, მეკარის მიერ ბურთის თამაშში შეყვანას — 17, კუთხურს — 19, გოლის გატანის შემდეგ თამაშის განახლებას — 31, სხვადასხვა გაუთვალისწინებელ ინციდენტს — 1,50 წუთიდან 7,39 წუთამდე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81.